ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №52

2015 წლის 6 აპრილი
ქ.ქობულეთი

„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ოქტომბრის №151 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 59-ე მუხლის შესაბამისად:

1. გასწორებულ იქნას ტექნიკური ხარვეზი „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 ოქტომბრის №151 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე ყოფილი კლუბ-კანტორის 2776.0 კვ.მ. (ს/კ №20.33.01.002) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 1608.0 კვ.მ. შენობა ნაგებობაზე საწყისი საპრივატიზებო ფასი განისაზღვროს 70736 (სამოცდაათი ათას შვიდასოცდათექვსმეტი ლარი) ლარის ოდენობით”.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ.ქარცივაძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ძალაშია შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ს.ოქროპირიძე**